სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება	სამართალი/LAW
პროგრამის ხელმძღვანელი	დიმიტრი გეგენავა, სამართლის დოქტორი, პროფესორი გიორგი გორაძე, სამართლის დოქტორი, პროფესორი
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	სამართლის მაგისტრი/Master of Law (LL.M.) კვლევის მაგისტრი სამართალში/Research Master in Law (MRes)
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	სამაგისტრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს და შედგება 60 ECTS კრედიტიანი ნაწილებისგან (პირველი და მეორე ნაწილი).
პროგრამის დამტკიცების თარიღი და ოქმის ნომერი	27.12.2013 №12-13
პროგრამის განახლების თარიღი და ოქმის ნომერი	24.06.2026 №05-26

პროგრამის მიზანი

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი ნაწილის (LL.M./60 ECTS კრედიტი) მიზანია სტუდენტს:

(A) თანამედროვე სამართლის სისტემური და შედარებითსამართლებრივი არგუმენტაციის ჭრილში, შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში და გამოუმუშაოს შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;

(B) გამოუმუშაოს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში საკუთარი კომპლექსური და ორიგინალური სამართლებრივი დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;

(C) გამოუმუშაოს აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისათვის საკუთარი სამართლებრივი დასკვნებისა და არგუმენტების გაზიარების უნარი;

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე ნაწილის (MRes/60 ECTS კრედიტი) მიზანია სტუდენტს ასევე:

(D) გამოუმუშაოს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვისა და სამეცნიერო კვლევის უნარი;

(E) გამოუმუშაოს სამართლებრივ-ეთიკური ღირებულებების ფორმირების უნარი.

სწავლის შედეგები

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი ნაწილის (LL.M./60 ECTS კრედიტი) დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

(A) იცნობს სიღრმისეულად კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროს აქტუალურ და პრობლემურ საკითხებს, ხელოვნური ინტელექტისა და სამართლის ტექნოლოგიების (Legal-Tech) ძირითად ტენდენციებს, სამართლებრივი დასაბუთების კლასიკურ და არასტანდარტულ მიდგომებს;

(B) ახდენს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის საფუძველზე არსებული სამართლებრივი პრობლემებისა და რთული შემთხვევების კომპლექსურ შეფასებას, ფორმულირებას და თანამედროვე სამართლებრივი აზროვნების სისტემის არგუმენტაციის ჭრილში, განმარტების კლასიკური და არასტანდარტული მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის საუკეთესო გზებს;

(C) აანალიზებს ეროვნულ, საერთაშორისო და სხვა სახელმწიფოთა საკანონმდებლო ნოვაციებს, თანამედროვე სასამართლო პრაქტიკას, შედარებითი სამართლის პრობლემატიკას, ევროპული სამართლის სისტემურ გავლენას ქართულ სამართალზე, ასევე მეცნიერულ სიახლეებს და თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზის საფუძველზე აყალიბებს საკუთარ კომპლექსურ და ორიგინალურ სამართლებრივ დასკვნებს;

(D) მსჯელობს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი სამართლებრივი დასკვნებისა და არგუმენტების თაობაზე, წერილობითი და ზეპირი ფორმით, ადგენს სხვადასხვა სირთულის იურიდიულ და საპროცესო დოკუმენტს, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე გამოსაყენებლად;

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე ნაწილის (MRes/60 ECTS კრედიტი) დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული ასევე:

(E) ახდენს პირველადი წყაროების, სამეცნიერო სტატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზითა და ინტერპრეტირებით, აკადემიური პატიოსნების სტანდარტების გათვალისწინებით, სამეცნიერო-კვლევითი პროცესის დაგეგმვას, აგროვებს პირველად მონაცემებს შესაბამისი კვლევის მეთოდოლოგიის გამოყენებით, ამოიცნობს სამეცნიერო კვლევის შესრულებისთვის საჭირო სამართლებრივი კვლევის მეთოდებს, შეიმუშავებს სამეცნიერო-კვლევით პროექტს;

(F) აანალიზებს იურიდიული პროფესიების ეთიკურ, ზნეობრივ და მორალურ ასპექტებს, სამეცნიერო კვლევების ეთიკურ შედეგებს და, საჭიროების შემთხვევაში, მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსებისა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების ფორმირებაში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (120 ECTS კრედიტი) ჩარიცხვის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე. საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებით ვლინდება ცოდნის ზოგადი დონე არჩეული სპეციალობისა და ინგლისური ენის B2 დონის ფარგლებში.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/ტესტები და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე (http://www.sabauni.edu.ge)

ინგლისური ენის ტესტირებისგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ ერთ-ერთ შემდეგ საერთაშორისო სერტიფიკატს: FCE, IELTS, TOEFL PBT, TOEFL CBT, TOEFL IBT, VERSANT, CERTUS. PEARSON, შესაბამისი შეფასებებით. ასევე კანდიდატი, ვისაც ინგლისურ ენაზე გავლილი აქვს საბაკალავრო ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ან სრული ერთი სემესტრი მაინც. შენიშვნა: ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სერტიფიკატი განაცხადის გაკეთების დროს უნდა იყოს ძალაში და აპლიკანტს უნდა შეეძლოს მისი წარმოდგენა. ვადაგასული დოკუმენტი არ განიხილება.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

სწავლება-სწავლის მეთოდი

☒ ლექცია ☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა ☒ პრაქტიკული მუშაობა ☒ სემინარი ☒ ელექტრონული რესურსით სწავლება

☐ ელექტრონული სწავლება ☒ სხვა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, სამართლებრივი დასკვნა, საპროცესო დოკუმენტები, სასამართლო გადაწყვეტილების ანალიზი და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს:	
ხუთი სახის დადებით შეფასებას:	
(A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:	
(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების ფორმები და კომპონენტები	
შეფასების ფორმები და კომპონენტები	**მაქსიმალური ქულა**
შუალედური შეფასება:	**70 ქულა**
1.1	

1.2	
1.3	
დასკვნითი შეფასება	**30 ქულა**
დასკვნითი წერითი/ზეპირი გამოცდა	30
სულ	**100 ქულა**

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნოერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნოერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნოერო-კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომის) შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:	
(A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:	
(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;
(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

დასაქმების სფერო

სამართლის სამაგისტრო პროგრამის (120 ECTS კრედიტი) კურსდამთავრებული მომზადებულია სამართლის სფეროში მაღალი რანგის იურიდიული პრაქტიკის განსახორციელებლად და სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი ნაწილის (LL.M./60 ECTS კრედიტი) კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ეძლევა იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის მაგისტრის ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე ნაწილის (MRes/60 ECTS კრედიტი) კურსდამთავრებულს კი დამატებით შეუძლია დასაქმდეს იურისპრუდენციისა და მომიჯნავე სფეროების მკვლევრის თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება პრაქტიკული კვლევა, სამეცნიერო წყაროების ანალიზი, აკადემიური წერა და ა.შ.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი ნაწილის (LL.M./60 ECTS კრედიტი) კურსდამთავრებულს უფლება აქვს, სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე სწავლა განაგრძოს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე ნაწილზე (MRes/60 ECTS კრედიტი), თუ პირველ ნაწილზე ჩარიცხვიდან არ არის გასული 5 წელი, სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე ნაწილის (MRes/60 ECTS კრედიტი) კურსდამთავრებულს კი – საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამართლის ან სხვა შესაბამისი მიმართულების სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევრის მომზადებაზე.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

სამართლის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- იმიტირებული სასამართლო დარბაზი;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

უნივერსიტეტის საკუთრებასა და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობანი – სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობასა და საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვილი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა – უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვლომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და ეროვნული და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (საკანონმდებლო მაცნე, EBSCO, HeinOnline, Elsevier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე – აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები, მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები – სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

პროგრამის სტრუქტურა

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (120 ECTS) შედგება 60-60 ECTS კრედიტის მოცულობის მქონე ორი ნაწილისგან.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი ნაწილი (60 ECTS კრედიტი) მოიცავს **სასწავლო კომპონენტს,** რომელიც წარმოდგენილია სავალდებულო სასწავლო კურსების, და თანამედროვე საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების, თანამედროვე კერძო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების, თანამედროვე სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების და სამართლის მეთოდების სახით.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე ნაწილი (60 ECTS კრედიტი) მოიცავს **სასწავლო** და **სამეცნიერო-კვლევით** კომპონენტებს. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე ნაწილის (60 ECTS კრედიტი) სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისგან. **სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი** წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის სახით.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად შეიძლება ეღიაროს სხვა სასწავლო კურსები, რომლებიც ათვისებული აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, თითოეულ მოდულში პროგრამით გათვალისწინებული დასაგროვებელი კრედიტების რაოდენობის დაცვის გარეშე. აღნიშნული წესი ასევე ვრცელდება საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების აღიარებისას.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები (120 ECTS)

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი ნაწილის (LL.M./60 ECTS კრედიტი) სასწავლო კომპონენტი

სავალდებულო სასწავლო კურსები - 36 ECTS კრედიტი

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი ნაწილის (LL.M./60 ECTS კრედიტი) სავალდებულო სასწავლო კურსებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 36 კრედიტი. სავალდებულო სასწავლო კურსები კურსები ორიენტირებულია წერითი და ზეპირი სამართლებრივი, ასევე კლინიკური უნარების განვითარებაზე, პროფესიული ეთიკის სტანდარტისა და რთული შემთხვევების კვალიფიკაციის ტექნიკის შესწავლაზე, აგრეთვე საკუთარი ორიგინალური აზრის მკაფიოდ ჩამოყალიბების, მისი არგუმენტირებული გადმოცემის (წერილობით თუ ზეპირად), ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის, საინფორმაციო ტექნოლოგიების პროფესიული გამოყენების, ლიტერატურაზე მუშაობის უნარის გამომუშავებაზე.

სამართლის პრაქტიკულ კლინიკას და **სამართლებრივ ეთიკას** გაივლიან კერძო და საჯარო სამართლის მიმართულების სტუდენტები, ხოლო **სისხლის სამართლის პროცესის პრაქტიკული კლინიკა** და **სამართლებრივი ეთიკა სისხლის სამართალში** სავალდებულოა სისხლის სამართლის მიმართულების სტუდენტებისთვის.

თანამედროვე საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები - 24 ECTS

თანამედროვე საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და შეიძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა საჯარო სამართლის სფეროში.

საჯარო სამართლის მიმართულების სტუდენტმა თანამედროვე საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსებიდან უნდა დააგროვოს მინიმუმ 18 კრედიტი, დანარჩენი 6 კრედიტი სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს სხვა მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე.

თანამედროვე კერძო სამართლის მოდული - 24 ECTS

თანამედროვე კერძო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და შეიძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა კერძო სამართლის სფეროში.

კერძო სამართლის მიმართულების სტუდენტმა თანამედროვე კერძო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსებიდან უნდა დააგროვოს მინიმუმ 18 კრედიტი, დანარჩენი 6 კრედიტი კი სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს სხვა მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე.

თანამედროვე სისხლის სამართლის მოდული - 24 ECTS

თანამედროვე სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და შეიძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა სისხლის სამართლის სფეროში.

სისხლის სამართლის მიმართულების სტუდენტმა თანამედროვე სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსებიდან უნდა დააგროვოს მინიმუმ 18 კრედიტი, დანარჩენი 6 კრედიტი კი სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს სხვა მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე.
სამართლის მეთოდები
სამართლის მეთოდების არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარის სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით კონცენტრირდებს სამართლის ინტერდისციპლინურ სფეროებზე და შეიძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა ამ მიმართულებით. სამართლის მეთოდების მიმართულება აერთიანებს მხოლოდ არჩევით სასწავლო დისციპლინებს. სამართლის მეთოდების მიმართულებიდან საგნის გავლის შემთხვევაში მიღებული კრედიტები სტუდენტს ეთვლება საკუთარი დარგობრივი მიმართულებით დაგროვებულ კრედიტებში.
სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე ნაწილის (MRes/60 ECTS კრედიტი) კომპონენტები
სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე ნაწილის (MRes/60 ECTS კრედიტი) სასწავლო კომპონენტი - 30 ECTS კრედიტი
სავალდებულო სასწავლო კურსები - 18 ECTS კრედიტი
სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე ნაწილის (MRes/60 ECTS კრედიტი) სავალდებულო სასწავლო კურსებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 18 კრედიტი. სავალდებულო სასწავლო კურსები კურსები ორიენტირებულია სამართლის მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებით წერითი და ზეპირი კვლევითი, პირველადი და მეორეული წყაროების მოძიების, დამუშავების, დამოუკიდებელი კვლევის, სამეცნიერო-ანალიტიკური უნარის გამომუშავებაზე.
არჩევითი სასწავლო კურსები - 12 ECTS კრედიტი
სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე ნაწილის (MRes/60 ECTS კრედიტი) არჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 12 კრედიტი.
სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (30 ECTS)
სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა - 30 ECTS
სტუდენტის მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი კვლევის შედეგები აისახება მის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომში. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს დასრულებულ სამუშაოს, რომელიც უნდა ასახავდეს სტუდენტის უნარს, ჩაატაროს კვლევითი ან სხვა სახის სამუშაოები. წარმოდგენილი ნაშრომის დაცვისას სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მის მიერ შესრულებული სამუშაო და დისკუსიაში მონაწილეობის უნარი. სამაგისტრო ნაშრომი სტუდენტმა უნდა შეასრულოს სამართლის იმ მიმართულებით, რომლიდანაც სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი ნაწილის ფარგლებში არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე დაგროვილი აქვს მინიმუმ 18 კრედიტი.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (120 ECTS კრედიტი) სასწავლო გეგმა
(მოდულები, საგნები შესაბამისი კრედიტების მითითებით)

№	დაშვების წინაპირობა	მოდული/საგანი	ECTS კრედიტი				სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
			I წელი		II წელი		საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
			სემესტრი					
			I	II	III	IV		
სამართლის სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილი (LL.M./60 ECTS)								
სასწავლო კომპონენტი								
სავალდებულო სასწავლო კურსები								
1.	არ გააჩნია	რთული შემთხვევების კვალიფიკაცია და სამართლებრივი დასაბუთება		6/150			29	121
2.	არ გააჩნია	შედარებითი სამართალი		6/150			29	121
3.	არ გააჩნია	ხელოვნური ინტელექტი და სამართლის ტექნოლოგიები (Legal-Tech)		6/150			37	113
4.	არ გააჩნია	სამართლის პრაქტიკული კლინიკა/სისხლის სამართლის პროცესის პრაქტიკული კლინიკა	9/225				37/45	188/180
5.	არ გააჩნია	სამართლებრივი ეთიკა/სამართლებრივი ეთიკა სისხლის სამართალში	3/75				29/29	46/46
6.	არ გააჩნია	ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა	6/150				29	121
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები								
მოდული – თანამედროვე კერძო სამართალი								
1.	არ გააჩნია	ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო სამართალი	6/150	6/150			38	112
2.	არ გააჩნია	საჯარო და კერძო თანამშრომლობის სამართალი	3/75	3/75			18	57
3.	არ გააჩნია	კონკურენციის სამართალი	6/150	6/150			38	112
4.	არ გააჩნია	მოთხოვნისა და სარჩელის უზრუნველყოფის სამართალი	6/150	6/150			38	112
5.	არ გააჩნია	შედარებითი საარბიტრაჟო სამართალი და მედიაცია	6/150	6/150			38	112
6.	არ გააჩნია	მტკიცების პროცესი სამოქალაქო სამართალში	6/150	6/150			38	112

7.	არ გააჩნია	ევროკავშირის კერძო სამართალი	6/150	6/150			38	112
8.	არ გააჩნია	კრიპტოვალუტისა და ბლოკჩეინის სამართალი	6/150	6/150			26	124
9.	არ გააჩნია	მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი	6/150	6/150			38	112
10.	არ გააჩნია	საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი	6/150	6/150			38	112
11.	არ გააჩნია	პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა	6/150	6/150			27	123
12.	არ გააჩნია	შედარებითი საკორპორაციო სამართალი	6/150	6/150			38	112
13.	არ გააჩნია	შედარებითი შრომის სამართალი	6/150	6/150			38	112
14.	არ გააჩნია	კაპიტალური საზოგადოებები: სამართლებრივ დოკუმენტთა წარმოება და სასამართლო პრაქტიკა	6/150	6/150			38	112
15.	არ გააჩნია	სპორტის სამართალი	6/150	6/150			30	120
16.	არ გააჩნია	მედიცინის სამართალი	6/150	6/150			38	112
17.	არ გააჩნია	ბიზნესდავების გადაწყვეტა და სამოქალაქო სამართლის პროცესი	6/150	6/150			33	117
18.	არ გააჩნია	არაკეთილსინდისიერი კომერციული საქმიანობა და მომხმარებლის უფლებების დაცვა	3/75	3/75			19	56
მოდული – თანამედროვე სისხლის სამართალი								
1.	არ გააჩნია	დანაშაულობის პრევენციის თანამედროვე მოდელები	6/150	6/150			38	112
2.	არ გააჩნია	სისხლის სამართლის საქმეზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დასაბუთება	6/150	6/150			38	112
3.	არ გააჩნია	შედარებითი სისხლის სამართლის პროცესი	6/150	6/150			38	112
4.	არ გააჩნია	დაცვის ხელოვნება	6/150	6/150			30	120
5.	არ გააჩნია	მტკიცებითი სამართალი	6/150	6/150			41	109
6.	არ გააჩნია	ადამიანის ძირითადი უფლებები სისხლის სამართლის პროცესში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით	6/150	6/150			38	112
7.	არ გააჩნია	განრიდება და მედიაცია	3/75	3/75			14	61
8.	არ გააჩნია	შედარებითი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება	6/150	6/150			38	112
9.	არ გააჩნია	საგამოძიებო სამართალი	6/150	6/150			34	116
10.	არ გააჩნია	სქესობრივი დანაშაული	6/150	6/150			30	120
11.	არ გააჩნია	კრიმინალიზაციის პროცესი და აღდგენითი მართლმსაჯულება	6/150	6/150			38	112

12.	არ გააჩნია	ფინანსური დანაშაულის გამოძიების მეთოდიკა	6/150	6/150			34	116
13.	არ გააჩნია	ნაფიც მსაჯულთა სასამართლო	3/75	3/75			20	55
14.	არ გააჩნია	ოჯახში ძალადობა და მსხვერპლთა დაცვის სამართლებრივი მექანიზმები	6/150	6/150			38	112
15.	არ გააჩნია	დანაშაული და მედია	6/150	6/150			38	112
მოდული – თანამედროვე საჯარო სამართალი								
1.	არ გააჩნია	შედარებითი კონსტიტუციონალიზმი	9/225	9/225			31	194
2.	არ გააჩნია	ჯანმრთელობის დაცვის სამართალი	6/150	6/150			38	112
3.	არ გააჩნია	საგადასახადო სამართალი და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი	6/150	6/150			38	112
4.	არ გააჩნია	პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი	6/150	6/150			38	112
5.	არ გააჩნია	სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა, ტერიტორიული კონფლიქტები და საქართველო	6/150	6/150			28	122
6.	არ გააჩნია	საჯარო მმართველობისა და საჯარო სამსახურის სისტემა	9/225	9/225			41	184
7.	არ გააჩნია	განათლების სამართალი	6/150	6/150			38	112
8.	არ გააჩნია	სამშენებლო სამართალი	6/150	6/150			38	112
9.	არ გააჩნია	გარემოს დაცვის სამართალი	6/150	6/150			38	112
10.	არ გააჩნია	ენერგეტიკის სამართალი	6/150	6/150			40	110
11.	არ გააჩნია	პრივატიზების სამართალი	3/75	3/75			14	61
12.	არ გააჩნია	ლიცენზიები და ნებართვები	3/75	3/75			16	59
13.	არ გააჩნია	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების სამართალი	6/150	6/150			27	123
სამართლის მეთოდები								
1.	არ გააჩნია	თანასწორობის უფლების დაცვის სამართლებრივი მექანიზმები	6/150	6/150			32	118
2.	არ გააჩნია	ეკლესია და სახელმწიფო	6/150	6/150			26	124
3.	არ გააჩნია	სამართლიანობა, ადამიანის უფლებები და კინო	6/150	6/150			38	112
სამართლის სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილი (MRes/60 ECTS კრედიტი)								
სასწავლო კომპონენტი								
სავალდებულო სასწავლო კურსები								
1.	არ გააჩნია	აკადემიური წერა იურისტებისთვის			12/300		45	255
2.	არ გააჩნია	თვისებრივი კვლევის მეთოდები			6/150		42	108
არჩევითი სასწავლო კურსები								
1.	არ გააჩნია	სამართლებრივი ეთიკის კლინიკა			12/300		41	259

2.	არ გააჩნია	სამართლებრივი აქტების ექსპერტიზისა და სამართალშემოქმედებითი საქმიანობის ტექნიკის კლინიკა			12/300		27	273
3.	არ გააჩნია	აღსრულების სამართლის კლინიკა			12/300		40	260
4.	არ გააჩნია	იურიდიული კლინიკა			12/300		115	185
5.	არ გააჩნია	ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართლის კლინიკა			12/300		28	272
კვლევითი კომპონენტი								
1.	აკადემიური წერა იურისტებისთვის, თვისებრივი კვლევის მეთოდები	სამაგისტრო ნაშრომი				30/750	9	741
		სემესტრში	**30**	**30**	**30**	**30**		
		წელიწადში	**60**		**60**			
		სულ	**120**					

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები	სწავლის შედეგები					
	A	B	C	D	E	F
პროგრამის მიზანია **სტუდენტს** თანამედროვე სამართლის სისტემური და შედარებითსამართლებრივი არგუმენტაციის ჭრილში, შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში და გამოუმუშაოს შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.	√	√				
პროგრამის მიზანია **სტუდენტს გამოუმუშაოს** კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში საკუთარი კომპლექსური და ორიგინალური სამართლებრივი დასკვნების ჩამოყალიბების უნარი.			√			
პროგრამის მიზანია **სტუდენტს გამოუმუშაოს** აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისათვის საკუთარი სამართლებრივი დასკვნებისა და არგუმენტების გაზიარების უნარი.				√		
პროგრამის მიზანია **სტუდენტს გამოუმუშაოს** კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვისა და სამეცნიერო კვლევის უნარი.					√	
პროგრამის მიზანია **სტუდენტს გამოუმუშაოს** სამართლებრივ-ეთიკური ღირებულებების ფორმირების უნარი.						√

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

№	მოდული/საგანი	კურსის სტატუსი		პროგრამის სწავლის შედეგები					
				(A)	(B)	(C)	(D)	(E)	(F)
სამართლის სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილი (LL.M./60 ECTS)									
1.	რთული შემთხვევების კვალიფიკაცია და სამართლებრივი დასაბუთება	D	P		D/P	D/P	D/P		
2.	შედარებითი სამართალი	D			D	D	D		
3.	სამართლის პრაქტიკული კლინიკა/სისხლის სამართლის პროცესის პრაქტიკული კლინიკა	P	M		P/M		P/M		
4.	სამართლებრივი ეთიკა/სამართლებრივი ეთიკა სისხლის სამართალში	D					D		
5.	ხელოვნური ინტელექტი და სამართლის ტექნოლოგიები (Legal-Tech)	D	P	D/P		D/P			
6.	ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა	D	M	D/M	D/M		D/M		
სამართლის სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილი (MRes/60 ECTS კრედიტი)									
1.	აკადემიური წერა იურისტებისთვის	D	P					D/P	D/P
2.	თვისებრივი კვლევის მეთოდები	D	P					D/P	D/P
3.	სამაგისტრო ნაშრომი	M						M	M

I – შესავალი კურსები (Introduction)	D - განმავითარებელი კურსები (Developing)	P - პრაქტიკული კურსები (Practical)	M- დაოსტატების კურსები (Master)

პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების - კომპეტენციების რუკა

№	მოდული/საგანი	კომპეტენციები		
		ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხიმგებლობა და ავტონომიურობა
	სამართლის სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილი (LL.M./60 ECTS კრედიტი)			
	სავალდებულო სასწავლო კურსები			
1.	რთული შემთხვევების კვალიფიკაცია და სამართლებრივი დასაბუთება	X	X	X
2.	შედარებითი სამართალი	X	X	
3.	ხელოვნური ინტელექტი და სამართლის ტექნოლოგიები (Legal-Tech)	X	X	
4.	სამართლის პრაქტიკული კლინიკა/სისხლის სამართლის პროცესის პრაქტიკული კლინიკა	X	X	X
5.	ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა	X	X	X
6.	სამართლებრივი ეთიკა/სამართლებრივი ეთიკა სისხლის სამართალში	X	X	X
	მოდული – თანამედროვე კერძო სამართალი			
1.	ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო სამართალი	X	X	
2.	საჯარო და კერძო თანამშრომლობის სამართალი	X	X	
3.	კონკურენციის სამართალი	X	X	
4.	მოთხოვნისა და სარჩელის უზრუნველყოფის სამართალი	X	X	
5.	შედარებითი საარბიტრაჟო სამართალი და მედიაცია	X	X	
6.	მტკიცების პროცესი სამოქალაქო სამართალში	X	X	X
7.	ევროკავშირის კერძო სამართალი	X	X	
8.	კრიპტოვალუტისა და ბლოკჩეინის სამართალი	X	X	
9.	მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი	X	X	
10.	საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი	X	X	
11.	პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა	X	X	

12.	შედარებითი საკორპორაციო სამართალი	X	X	
13.	შედარებითი შრომის სამართალი	X	X	
14.	კაპიტალური საზოგადოებები: სამართლებრივ დოკუმენტთა წარმოება და სასამართლო პრაქტიკა	X	X	
15.	სპორტის სამართალი	X	X	
16.	მედიცინის სამართალი	X	X	
17.	ბიზნესდავების გადაწყვეტა და სამოქალაქო სამართლის პროცესი	X	X	X
18.	არაკეთილსინდისიერი კომერციული საქმიანობა და მომხმარებლის უფლებების დაცვა	X	X	
	მოდული – თანამედროვე სისხლის სამართალი			
1.	განრიდება და მედიაცია	X	X	X
2.	დანაშაულობის პრევენციის თანამედროვე მოდელები	X	X	
3.	სისხლის სამართლის საქმეზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დასაბუთება	X	X	X
4.	შედარებითი სისხლის სამართლის პროცესი	X	X	
5.	დაცვის ხელოვნება	X	X	X
6.	მტკიცებითი სამართალი	X	X	X
7.	ადამიანის ძირითადი უფლებები სისხლის სამართლის პროცესში ევროსასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით	X	X	
8.	შედარებითი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება	X	X	
9.	საგამოძიებო სამართალი	X	X	
10.	სქესობრივი დანაშაული	X	X	
11.	კრიმინალიზაციის პროცესი და აღდგენითი მართლმსაჯულება	X	X	
12.	ფინანსური დანაშაულის გამოძიების მეთოდიკა	X	X	
13.	ნაფიც მსაჯულთა სასამართლო	X	X	X
14.	ოჯახში ძალადობა და მსხვერპლთა დაცვის სამართლებრივი მექანიზმები	X	X	
15.	დანაშაული და მედია	X	X	
	მოდული – თანამედროვე საჯარო სამართალი			
1.	შედარებითი კონსტიტუციონალიზმი	X	X	
2.	ჯანმრთელობის დაცვის სამართალი	X	X	
3.	საგადასახადო სამართალი და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი	X	X	
4.	პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი	X	X	
5.	სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა, ტერიტორიული კონფლიქტები და საქართველო	X	X	

6.	საჯარო მმართველობისა და საჯარო სამსახურის სისტემა	X	X	
7.	განათლების სამართალი	X	X	
8.	სამშენებლო სამართალი	X	X	
9.	გარემოს დაცვის სამართალი	X	X	
10.	ენერგეტიკის სამართალი	X	X	
11.	პრივატიზების სამართალი	X	X	
12.	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების სამართალი	X	X	
13.	ლიცენზიები და ნებართვები	X	X	
	სამართლის მეთოდები			
1.	თანასწორობის უფლების დაცვის სამართლებრივი მექანიზმები	X	X	X
2.	ეკლესია და სახელმწიფო	X	X	
3.	სამართლიანობა, ადამიანის უფლებები და კინო	X	X	
	სამართლის სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილი (MRes/60 ECTS კრედიტი)			
	სასწავლო კომპონენტი			
1.	აკადემიური წერა იურისტებისთვის	X	X	X
2.	თვისებრივი კვლევის მეთოდები	X	X	X
3.	სამართლებრივი ეთიკის კლინიკა	X	X	X
4.	სამართლებრივი აქტების ექსპერტიზისა და სამართალშემოქმედებითი საქმიანობის ტექნიკის კლინიკა	X	X	
5.	იურიდიული კლინიკა	X	X	X
6.	აღსრულების სამართლის კლინიკა	X	X	
7.	ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართლის კლინიკა	X	X	
	კვლევითი კომპონენტი			
1	სამაგისტრო ნაშრომი	X	X	X